სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა № 318

ქ.ბათუმი 02 ივნისი 2015 წელი

ერთის მხრივ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება – სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი (შემდგომში „შემსყიდველი"), უფროსის მ/შ დავით მიქელაძის სახით და მეორეს მხრივ ა(ა)იპ "საქართველოს სკაუტური მოძრაობის აჭარის ორგანიზაცია" თავმჯდომარის შორენა ლომაძის სახით (შემდგომში „მიმწოდებელი"), "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის ,,დ" ქვეპუნქტის თანახმად დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინების განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება" – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება მასზე თანდართული ყველა დოკუმენტითა და დამატებებით, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ;

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" – ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულების სანაცვლოდ;

1.3. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4. „მიმწოდებელი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5. "დღე", "კვირა", "თვე" – კალენდარული დღე, კვირა, თვე;

1.6. „მომსახურება" – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი;

1.7. „ფასებისა და მიწოდების ვადების შესახებ ინფორმაცია" – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის შეთანხმებული და მათ მიერ დამოწმებული „ინფორმაცია ფასებისა და მიწოდების ვადების შესახებ" (ფორმა N3), რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე მიმწოდებელი კისრულობს ვალდებულებას შემსყიდველს გაუწიოს შემდეგი სახის მომსახურება, კერძოდ: „ახალგაზრდულ საქმეთა სფეროს ხელშეწყობის" ღონისძიების „ერთჯერადი თავისუფალი პროექტები"-ს ფარგლებში პროექტის „ბანაკი-ოცნების ქალაქი" ორგანიზება. (CPV 79952000)

2.2. მომსახურების ზუსტი დასახელება და რაოდენობა განსაზღვრულია ფასებისა და მიწოდების ვადების შესახებ ინფორმაციით.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 7440 (შვიდი ათას ოთხას ორმოცი) ლარს.

3.2. მომსახურების ერთეულის ღირებულება განსაზღვრულია ფასებისა და მიწოდების ვადების შესახებ ინფორმაციით.

3.3 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების მიწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს, რომელთა გადახდაზეც პასუხისმგებელია მიმწოდებელი.

4. მიწოდების ვადა და ადგილი

4.1. მომსახურების მიწოდების ვადა და ადგილი განსაზღვრულია ფასებისა და მიწოდების ვადების შესახებ ინფორმაციით.

5. მიღება-ჩაბარების წესი

5.1. მომსახურების მიღება-ჩაბარებას ახორციელებენ სათანადოდ უფლებამოსილი პირი.

5.2. შემსყიდველის მხრიდან მომსახურების მიღება-ჩაბარებაზე უფლებამოსილია ხელშეკრულების შესრულების კონტროლის განმახორციელებელი პირი.

5.3.მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების შესახებ წარმოდგენილი ფინანსური დოკუმენტაციის საფუძველზე მოხდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება.

5.4. მომსახურება ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად, მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5.6. შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით აცნობოს მიმწოდებელს შემოწმების შედეგები, დაწუნებული მომსახურების რაოდენობისა და წუნდების მიზეზის მითითებით.

6. ანგარიშსწორების ფორმა, წესი და ვადები

6.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ხელშეკრულებით გათვალსწინებულ რეკვიზიტებზე ეროვნულ ვალუტაში.

6.2. წინასწარი ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება საბანკო გარანტიის წარმოდგენის შემთხვევაში.

6.3 საბანკო გარანტიის არქონის შემთხვევაში ანგარიშსწორება განხორციელდება მხოლოდ მომსახურების ან მისი ნაწილის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

6.4 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელედება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში.

7. გარანტია

7.1. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული მიწოდებული მომსახურების ხარისხი, სტანდარტები, ტექნიკური პარამეტრები, ძირითადი მახასიათებლები უნდა შეესაბამებოდეს ხელშეკრულებით განსაზღვრულ პირობებს, საქართველოში არსებულ წესებსა და ნორმებს და საერთაშორისო სტანდარტებს.

7.2. პუნქტში აღნიშნული პირობებიდან გადახვევის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია არ მიიღოს მომსახურება ან/და მიმწოდებლის მიმართ გამოიყენოს ამ ხელშეკრულებით და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ზომები.

8. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

8.1. შემსყიდველს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი.

8.2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს ახორციელებს დეპარტამენტის ახალგაზრდობის საქმეთა განყოფილების უფროსი.

8.3. კონტროლი ხორციელდება როგორც შუალედური ფორმით – მომსახუების მიწოდების პროცესში, ისე მისი დამთავრების შემდგომ, მიღება-ჩაბარებისას.

8.4. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯით უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.1 პროცენტის ოდენობით.

9.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10 პროცენტს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

9.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ხელშეკრულებით განსაზღვრული ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. დაუძლეველი ძალა

10.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში მხარე ვალდებულია მეორე მხარეს აცნობოს ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

10.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „დაუძლეველი ძალა" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი.

10.3. თუ მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ვალდებულებებს, მან ამის შესახებ დაუყოვნებლივ, არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს გარემოების დადგომის (დასრულების) შესახებ.

10.4. 10.3. მუხლით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარე არ გათავისუფლდება ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

10.5. მხარეთა ვალდებულებები და პასუხისმგებლობა განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

11.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

11.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

12. ხელშეკრულების შეწყვეტა

12.1. შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს მთელი მომსახურების ან მისი ნაწილი;

ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება;

გ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

12.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

12.3. ხელშეკრულების 12.1 მუხლში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია მიმწოდებელს აუნაზღაუროს ფაქტიურად მიწოდებული მომსახურების ღირებულება.

12.4. შემსყიდველი ვალდებულია არანაკლებ 5 დღით ადრე წერილობით აცნობოს მიმწოდებელს 12.1. მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის თაობაზე.

12.5. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

13. სადაო საკითხების გადაწყვეტა

13.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

13.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მიმართოს სასამართლოს.

14. სხვა პირობები

14.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეების მიერ ხელმოწერის დღიდან.

14.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე. მესამე პირებთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

14.3. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

14.4. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, ელექტრონული წერილის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

14.5. ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის შესრულდება ქართულ ენაზე.

14.6. ხელშეკრულება შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგ ორი ეგზემპლარი ინახება შემსყიდველთან და ერთი ეგზემპლარი მიმწოდებელთან.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2015 წლის 31 დეკემბრამდე.

16. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
აჭარის ა.რ. განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი საქართველო, ქალაქი ბათუმი ლადო გუდიაშვილის ქ. №4 ს/კ 245631400 სს „თიბისი ბანკი“ ა/ა GE62TB7901736010100015 მფო **TBCBGE22**	ა(ა)იპ "საქართველოს სკაუტური მოძრაობის აჭარის ორგანიზაცია“ საქართველო, ქ. ბათუმი, შ. რუსთაველის ქ. №6 ს/კ 245438511 სს„საქართველოს ბანკი" მფო BAGAGE22 ა/ა GE97BG0000000121374000

დავით მიქელაძე

დეპარტამენტის უფროსის მ/შ

შორენა ლომსაძე

თავმჯდომარე

ინფორმაცია

ფასებისა და მიწოდების ვადების შესახებ

ფორმა №3

№	დასახელება	ზომის ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი (ლარი)	სულ თანხა (ლარი)	მიწოდების ადგილი	მიწოდების ვადა
1	საძილე ტომარა	ცალი	11	50	550	ბათუმი, თბილისი, თურქეთი	2015 წლის 21 ივლისამდე
2	ჩანგალი (ელექტ.)	ცალი	1	8	8	ბათუმი	2015 წლის 21 ივლისამდე
3	ჩამრთველი	ცალი	1	4	4	ბათუმი	2015 წლის 21 ივლისამდე
4	საკვები	დღე	7	432	3024	ბათუმი, ჩაქვი	2015 წლის 21 ივლისამდე
5	გაზის ბალონის შევსება	ცალი	3	30	90	ბათუმი, ჩაქვი	2015 წლის 21 ივლისამდე
6	მონაწილეების ტრანსპორტირება	ადამიანი	72	4	288	ბათუმი მწვანე კონცხი	2015 წლის 21 ივლისამდე
7	აღჭურვილობის ტრანსპორტირება	მომსახურება	2	75	150	აჭარის მუნიციპალიტეტები	2015 წლის 21 ივლისამდე
8	ჰაიკინგის ტრანსპორტირება	მომსახურება	5	72	360	აჭარის მუნიციპალიტეტები	2015 წლის 21 ივლისამდე
9	ყოველდღიური ტრანსპორტირება	მომსახურება	10	30	300	აჭარის მუნიციპალიტეტები	2015 წლის 21 ივლისამდე
10	მარკერი	ცალი	10	1	10	ბათუმი	2015 წლის 21 ივლისამდე
11	ფანქარი	ცალი	100	0,10	10	ბათუმი	2015 წლის 21 ივლისამდე
12	კალამი	ცალი	100	0,10	10	ბათუმი	2015 წლის 21 ივლისამდე
13	ფურცელი	შეკვრა	2	9	18	ბათუმი	2015 წლის 21 ივლისამდე
14	საქაღალდე	ცალი	60	1	60	ბათუმი	2015 წლის 21 ივლისამდე
15	სკოჩი (პატარა)	ცალი	10	0,20	2	ბათუმი	2015 წლის 21 ივლისამდე
16	სკოჩი (დიდი)	ცალი	7	1	7	ბათუმი	2015 წლის 21 ივლისამდე
17	დიდი (ალექსანდროვის) ფურცელი	ცალი	10	1	10	ბათუმი	2015 წლის 21 ივლისამდე
18	თაბახის ფურცელი	შეკვრა	2	3,5	7	ბათუმი	2015 წლის 21 ივლისამდე
19	ნაგვის პარკები	ცალი	30	1	30	ბათუმი	2015 წლის 21 ივლისამდე
20	ფლომასტერი	ცალი	7	1	7	ბათუმი	2015 წლის 21 ივლისამდე
21	სახაზავი	ცალი	5	0,20	1	ბათუმი	2015 წლის 21 ივლისამდე
22	ბურთები	ცალი	10	0,50	5	ბათუმი	2015 წლის 21 ივლისამდე
23	პულივიზატორი	ცალი	3	4	12	ბათუმი	2015 წლის 21 ივლისამდე
24	მაკრატელი	ცალი	2	2	4	ბათუმი	2015 წლის 21 ივლისამდე
25	სანთელი	ცალი	24	0,25	6	ბათუმი	2015 წლის 21 ივლისამდე

	მოსაცდელი ტენტი	ცალი	1	122	122	ბათუმი, თბილისი, თურქეთი	2015 წლის 21 ივლისამდე
27	ბუშტები	ცალი	20	0,10	10	ბათუმი	2015 წლის 21 ივლისამდე
28	პარკები	ცალი	100	0,04	4	ბათუმი	2015 წლის 21 ივლისამდე
29	წებო	ცალი	10	1	10	ბათუმი	2015 წლის 21 ივლისამდე
30	მაისურები მონაწილეებისთვის	ცალი	72	10	720	ბათუმი	2015 წლის 21 ივლისამდე
31	ელემენტები	ცალი	6	1	6	ბათუმი	2015 წლის 21 ივლისამდე
32	რეგისტრაციის რვეულები	ცალი	2	1,50	3	ბათუმი	2015 წლის 21 ივლისამდე
33	სათლელი	ცალი	5	0,20	1	ბათუმი	2015 წლის 21 ივლისამდე
34	ბაწარი	ცალი	2	4	8	ბათუმი	2015 წლის 21 ივლისამდე
35	სახეხი	ცალი	4	1	4	ბათუმი	2015 წლის 21 ივლისამდე
36	ბუკლეტები	ცალი	100	1	100	ბათუმი, თბილისი	2015 წლის 21 ივლისამდე
37	ჟელე	ცალი	5	2,20	11	ბათუმი	2015 წლის 21 ივლისამდე
38	საპონი	ცალი	30	0,50	15	ბათუმი	2015 წლის 21 ივლისამდე
39	ტუალეტის ქაღალდი	ცალი	24	0,50	12	ბათუმი	2015 წლის 21 ივლისამდე
40	რეზინის ხელთათმანი	წყვილი	6	1	6	ბათუმი	2015 წლის 21 ივლისამდე
41	სარეცხი ღრუბელი	ცალი	30	0,20	6	ბათუმი	2015 წლის 21 ივლისამდე
42	მაგიდის საფარი	ცალი	8	2	16	ბათუმი	2015 წლის 21 ივლისამდე
43	სადეზინფიკაციო საშუალებები	ცალი	15	1	15	ბათუმი	2015 წლის 21 ივლისამდე
44	მაგიდის საწმენდი	ცალი	16	1	16	ბათუმი	2015 წლის 21 ივლისამდე
45	სატელეფონო ბარათი	ცალი	12	15	180	ბათუმი	2015 წლის 21 ივლისამდე
46	საჩუქრები მონაწილეებისთვის	ცალი	62	3,50	217	ბათუმი	2015 წლის 21 ივლისამდე
47	წამლები	ცალი	1	100	100	ბათუმი	2015 წლის 21 ივლისამდე
48	სურათის დაბეჭდვა	ცალი	100	0,30	30	ბათუმი	2015 წლის 21 ივლისამდე
49	მოწვეული სპეციალისტის ტრანსპორტირება	დღე	1	50	50	თბილისი, ბათუმი	2015 წლის 21 ივლისამდე
50	ექიმის ანაზღაურება	დღე	7	30	210	ბათუმი მწვანე კონცხი	2015 წლის 21 ივლისამდე
51	შეფ მზარეულის ანაზღაურება	დღე	7	50	350	ბათუმი მწვანე კონცხი	2015 წლის 21 ივლისამდე
52	მზარეულის ანაზღაურება	დღე	7	35	245	ბათუმი მწვანე კონცხი	2015 წლის 21 ივლისამდე
		სულ ჯამი			7440		

შემსყიდველი

მიმწოდებელი